სკოლის მზრუნველთა საბჭო

სკოლაში ფუნქციონერებს მშობელთა თვითმმართველობის ორგანო-მზრუნველთა საბჭო.

1.1. მზრუნველთა საბჭო არის მოსწავლეთა სწავლა -აღზრდის პროცესის სრულყოფისა და მისთვის მატერიალური ბაზის გაუმჯობესებით დაინტერესებულ მშობელთა და საზოგადოების წარმომადგენელთა ნებაყოფლობითი საზოგადოება,რომელიც მოქმედებს თვითმმართველობისა და სამეურნეო ანგარიშის პრინციპით.

1.2. მზრუნველთა საბჭო არ წარმოადგენს იურდიულ პირს და მუშაობას წარმართავს ადმინისტრაციასთან შეთანხმებით.

1.3. მზრუნველთა საბჭო ახორციელებს სამეურნეო და საქველმოქმედო საქმიანობას,რისთვისაც ამყარებს ურთიერთობებს სხვადასხვა ფირმებთან,დაწესებულებებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და კერძო პირებთან,რომლებიც მატერიალურ და ფინანსურ დახმარებას უწევენ სკოლას.

მზრუნველთა საბჭოს ამოცანები და მუშაობის ფორმები

2.1.მზრუნველთა საბჭოს ამოცანები:იზრუნოს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისთვის,რაც ხელს შეუწყობს მოსწავლე-ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის პროცესის სრულყოფას.

2.2.აქტიურად ჩაერთოს სკოლის მიერ დაგეგმილ სასკოლო ღონისძიებებში.

მზრუნველთა საბჭო თავის საქმიანობას აგებს შემდეგ ძირითად პრინციპებზე

3.1.ფინანსური რესურსების შევსების მიზნით აქტიურად ერთვება სასკოლო ღონისძიებებში:მოსწავლეთა თვითშემოქმედებითი კოლექტივების ფასიანი საქველმოქმედო კონცერტები,მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა.

3.2.მშობელთა შორის ეწევა ახსნა-განმარტებით მუშაობას მათი პროფესიული ცოდნისა და შესაძლებლობების სკოლის სასარგებლოდ გამოსაყენებლად.

3.3.წარჩინებული სწავლის ,სამაგალითო ყოფაქცევისა და საზოგადოებრივ მუშაობაში აქტიური მონაწილეობისთვის აწესებს ჯილდოებს მოსწავლეთათვის.

მზრუნველთა საბჭოს მუშაობის ორგანიზაცია და კონტროლი

4.1.სკოლის ადმინისტრაცია სასწავლო წლის დასაწყისში (სექტემბერი)კლასის მშობელთა კრებაზე ღია კენჭისყრით ირჩევს თითო წარმომადგენელს მზრუნველთა საბჭოში წარმომადგენლად- ერთი წლის ვადით.

4.2.მზრუნველთა საბჭო ირჩევს თავმჯდომარეს და მდივანს.საბჭოს თავმჯდომარე შედის სკოლის პედაგოგიური საბჭოს შემადგენლობაში.

4.3.მოქალაქეთა ნებაყოფლობითი შენატანების მიღება-გახარჯვა სასწავლო დაწესებულებაში ხორციელდება მზრუნველთა საბჭოს მეშვეობით,მისი გადაწყვეტილების საფუძველზე და ანგარიშს წარუდგენენ პედაგოგიური საბჭოს და სკოლის ადმინისტრაციას.